F 295 ა 634

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 14 1921 წ. ოთხშაბათი მარტის 16

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

წინადადებას აძლევს ქალაქ ტფილისის ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციებს გამოუკლებლივ, დღიდან ამისა გამოცხადებისა სამი დღის განმავლობაში, მოაწოდონ ამავე კომისარიატის საინფორმაციო განყოფილებას შემდეგი ცნობები:

ა) სახელწოდება დაწესებულებათა,
ბ) რომელ ქუჩაზე იმყოფება დაწესებულება (სახლის № აღნუსხვით),
გ) გვარი იმ პირისა, რომელიც სათავეში უდგას დაწესებულებას და
დ) დაწესებულების ტელეფონის ნომერი.

კომისარიატის საქმეთა მმართველობა.

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

აცხადებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამშრომლების საყურადღებოდ, რომელნიც იგზავნებიან ქალაქ თბილისში სხვა და სხვა დავალებებით, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შინაგან საქმეთა კომისარიატში (შენობა ყოფ. კადეტთა კორპუსისა, შესავალი ევანგულოვის ქუჩით) სათანადო საბუთების რეგისტრაციის მიზნით; ამ საბუთებს უნდა გაუკეთდეს რეგისტრაცია აგრეთვე თბილისიდან უკან გაბრუნების დღესაც. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან და ჩამოდიან ქალაქ თბილისში.

სახალხო კომისარიატის საქმეთა მართველობა.

## განცხადება

### კოოპერატივ „მეურნეს“-ს

გამგე ამით აცნობებს წევრებს, რომ რიგდება

### ლობიო

და დააჩქარონ მიღება ვისაც არ მიუღია.

გამგე.

| | | ტიფი: პარტახიანი | მუცლის | მექცევით | ყვავილი | დიფტერიტი | ყბა-ყურა | | | | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქალ. პირველ საავადმყოფოში. | იყო სულ 1-ლ მარტ. | 8 | 12 | 3 | 2 | 1 | 5 | 13 | | | |
| | მიღებულია | 5 | — | 2 | 2 | 2 | 3 | 12 | | | |
| | გაეწერა | 2 | 6 | 2 | — | — | 5 | 15 | | | |
| | გარდაიცვალა | — | — | — | 1 | — | — | 1 | | | |
| | რჩებიან მარტისთვის | 11 | 6 | 3 | 3 | 4 | — | 12 | — | | |
| ალნუსხულია სულ ავამტყოფ | | 5 | — | 2 | 2 | 3 | — | 12 | — | | |
| | | | | | | | | | | | |

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი მეუნარგია.
საქმის მწარმოებელი იაშვილი.

## დაიკარგა სახლის წიგნი

მესამე უბნისა, მღვდევის ქუჩა № 10. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

ეკატერინე ზურაბის ასული
661 ზაალიშვილისა.

## დაიკარგა საწევრო ბარათი

მოცემული ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირიდან № 6. იოსებ ნიკოლოზის ძე უთურგაიძეს გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 662

მარტის 9-ს ხარომანსკისამ

## დაკარგა წიგნაკი

კოოპერატივის მეურნისა, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

## ტფ. ოთხშაბათი მარტის 16

ყველასათვის ცხადია, რომ ტფილისი დატვირთულია ზედმეტი მოსახლეობით. ამ მოვლენას დიდი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს შეიქმნა ტფილისში ის მდგომარეობა, რომელიც დღეს უმწვერვალესობას აღწევს. გაჭარბებული მოსახლეობა სახიფათოა, ცხადია სურსათ-სანოვაგის სიმცირის თვალსაზრისით, მაგრამ დღეს-დღეობით ჩვენ გვაინტერესებს პოლიტიკური მხარე ამ მოვლენისა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სხვა და სხვა პოლიტიკურ პირობების მეოხებით ყველა ზედმეტი, ყველა არა საიმედო ელემენტი თან და თანობით მთელი რუსეთის ვრცელ ტერიტორიიდან საქართველოსაკენ მოეშურებოდა. წითელ არმიის მიერ დენიკინ-ვრანგელის ლაშქრის განადგურებამ საქართველოს საზღვარს მოარეკა ათასობით არა საიმედო, პირდაპირ ბნელი ელემენტი. ამიერ კავკასიაში ბრძოლის გადმოტანამ კიდევ უფრო გაამრავლა დაუპატიჟებელ სტუმართა რიცხვი. ყველა ვინც ვერ ურიგდებოდა მშრომელთა ბატონობას პოლიტიკურის და სოციალური მდგომარეობით ყველა საქართველოსაკენ მოისწრაფოდა. ათასგვარი კონტრ-რევოლიუციონური რუსეთიდან, ჩრდილო-კავკასიიდან აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან საქართველოში გადმობარგდა და აქ ამრავლებდა იმ არამზადების და მუქთახორების რიცხვს, რომლებიც გამოტაცებულ ფულით ფუფუნებით სცხოვრობდენ ან ახალი სპეკულიაციით ამრავლებდენ და ზრდიდნენ ჩამოტანილ თანხებს.

საგრძნობი ნაწილი ამ ხალხისა საქართველოდანაც ეიბარგა, რადგანაც არსებულ წყობილების კატასტროფას ელოდა. გემის ჩაძირვას ყველაზე უწინ ვირთხები იგრძნობენ და თავს შველიან ეს პოლიტიკური ვირთხებიც ნაწილობრივ დროზე აიბარგნენ, ნაწილობრივ კი ზოოლოგიური სასწაული მოახდინეს და ვირთხებიდან ქამელეონებად იქცნენ. დღეს დიდი ნაწილი ამ ყოველ შავრაზმელებისა და კონტრრევოლიუციონერებისა, რომლებიც თავის ქვეყანაში ებრძოდნენ ყოველის საშუალებით რევოლიუციას, წითელი ბანტებით შეიმოსა და სურთ ამით ვიღაც შეცდომაში შეიყვანონ.

დიდი ნაწილი ამ ხალხისა საქმის კაცები და თავის ქვეყანაში ისინი გამოდგებიან თუ მათი ნების ყოფა გატყდა და მშრომელთა კარნახს დაემორჩილა. ამისათვის საჭიროა მათი დაბრუნება იქ, საიდანაც გადმობარგებულან. თავისი ქვეყნის მშრომელთა დეზერტირები რუსები, სომხები და სხვ. ყოფილი კონტრ-რევოლიუციონერები უნდა გაიგზავნონ თავის სამშობლოში, რომ იქ გამოცდილებული მუშაობით მშრომელთა ინტერესებისათვის გამოისყიდონ თავისი ცოდვა.

რა თქმა უნდა ისინი საქართველოშიაც გამოდგებოდნენ, როგორც სპეციალისტები და საქმის კაცები, მაგრამ აქ მათი მუშაობა უნებლიეთ საბოტაჟის ხასიათს მიიღებს, რადგან იძულებითი მუშაობას დაემატება ისიც, რომ მათ უცხო ხალხს და სხვის კუთხეს უნდა ემსახურონ. რა თქმა უნდა ამ ვაჟბატონებს ვერ მოვსთხოვთ ისეთ გონებრივ და ზნეობრივ ამაღლებას, რომ სინდისის ქვეშ აქეთონ საქართველოში საქმე, რომელსაც მათ დაავალებენ. პირიქით ისინი აქ ხელს შეუწყობენ ეროვნულ შუღლს ანტაგონიზმს და თავისი ბნელი ბუნებას გამოიჩენენ.

ჩვენ ვფიქრობთ: ტფილისი უნდა გაიწმინდოს; რუსეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის მშრომელთა დეზერტირები თავის სადარაჯოებს უნდა დაუბრუნონ.

## ოპერატიული ცნობა

მარტის 13-ს.

დილით მარტის 13-ს ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგ. სამტრედია, ხელთ ვიგდეთ 21 ორთქმავალი და 20 ვაგონი. 13 მარტს 20 საათზე დავიკავეთ სადგური და ქალაქი ფოთი.

ის ნაწილი, რომელიც უტევდა ბაღდადის მიმართულებით, სოფლების დაჭერის შემდეგ გაიმართა მთავარ ძალებთან შესაერთებლად.

მოწინააღმდეგე იხევს ბათომისაკენ.

## საომარ მოქმედების შეჩერება.

უფლიდ მენშევიკურ მთავრობას წინადადება.

თფილისში ბათომიდან მიღებულია შემდეგი რადიო ცნობა: მარტის 12: „თფილისი, რევ. კომიტეტს. მივიღეთ თქვენი რადიო. საპასუხოთ ჩემი მთავრობა წინადადებას გაძლევთ: 1) 14 მარტს 14 საათამდე შეჩერებულ იქნას ყველა ფრონტზე საომარი მოქმედება. 2) ჯარები რჩებიან თავიანთ პოზიციაზე. 3) დაიწყოს მოლაპარაკება და ამისთვის გვიჩვენეთ ადგილი და დრო. ჩვენის მხრით ვნიშნავთ ქ. ქუთაისს. დანიშნეთ რწმუნებული ჩვენთან შესახვედრათ. უცდი პასუხს რადიო აპარატთან. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძე.

რევოლიუციონურ მთავრობის პასუხი.

ბათუმი, საქართველოს ყოფილ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძეს. ტფილისი 14-3-21 საათი 10 წ. ვადასტურებთ რა თქვენი რადიოს 12 რიცხვიდან № 50 მიღებას, დამოკიდებულ სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ცნობილია მთელი ქვეყნის მიერ. ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ იგი სდგას 25 თებერვალს გამოცხადებულ ამნისტიის ნიადაგზე და მიუხედავათ ათასობით დაპატიმრებულ და წაყვანილ ჩვენი ამხანაგების და ჩვენი ცოლ-შვილისა, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ პოლიტიკასთან და რომელთა შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით, არც ერთი წარმომადგენელი ყოფილი მთავრობისა, აგრეთვე არც ერთი წევრი დამფუძნებელ კრების და პოლიტიკურ პარტიებისა. რომელნიც აწარმოებდნენ ჩვენთან ომს, დღემდე არავითარ რეპრესიებს არ განიცდიან.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა სთვლის უმიზნოთ შემდეგში ომის გაგრძელებას. ქვეყნის დამღუპველად და გამანადგურებლად, აგრეთვე საშიშია რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობის დარღვევისათვის სიხარულით ვღებულობთ თქვენ წინადადებას საომარ მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ჩვენ მიერ გაიცემა ბრძანება 24 საათით საომარ მოქმედების შესაჩერებლად, 12 საათიდან 14 მარტისა. მოსალოდნელ მოლაპარაკების და თანამშრომლობის დასაწყებად აუცილებელ პირობათ ვთვლით დაუყოვნებლივ ცნობას თქვენ მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკისას და, როგორც ლოღიკური დასკვნა აქედგან, ცნობას საბჭოთა უფლებების იმ რაიონებში, სადაც ეხლა თქვენ იმყოფებით. ამ პირობათა შესრულების შემდეგ ვიწვევთ თქვენ წარმომადგენლებს მოლაპარაკების დასაწყებად ტფილისში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე.

## ფიქრები

ფურცელი № 7.

დასავლეთი საქართველო და იმერეთის დედა ქალაქი ქუთაისი უკვე აღებულია... მაგონდება მე ტფილისი თებერვლის 25-ს, დაღვრემილი, თავზარდაცემული ჩვენი საზოგადოება ხანტად გამოსულნი ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაჰკარგვია ამ ხალხს ტ გაოგნებულს აღარ ესმის რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი უნდა გადასდგამს, რა გზას შისცეს თავი. ვაი თუ იგივე სურათი, იგივე სულიერი განწყობილება, იგივე სამარისებური სიჩუმე და მყუდროება დღეს ქუთაისის ქუჩებზე... ჩვენ უკვე ფაქტის წინაშე ვართ, მენშევიკების მიერ საქართველოს დედა ქალაქის დატოვებასთან ერთად დაეცა მენშევიკური მთავრობა, მაგრამ საქართველო კვლავ ცოცხალია, იგი ამაყად გადმოჰყურებს თავის ბრწყინვალე წარსულს და ელის გაათასკეცებულ შრომას, დაუღალავ შემოქმედებითი მუშაობას, ნიჭსა და გამჭრიახობას თავის შვილებისაგან. დღეს ჩვენი საზოგადოება დაუყოვნებლივ უნდა გამოფხიზლდეს, გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და სადი გონებით გამოარკვიოს თავის ქვეყნის ბედ-ბედი. პირველი აზრი კი, უნდა იყოს აზრი საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად.

ჩივილს და წუწუნს თავი უნდა დავანებოთ და დავადგეთ შემოქმედებითი მუშაობის გზას; ყოველ საპასუხისმგებლო თანამდებობას ქართველმა მშრომელმა ხალხმა და ინტელიგენტ-სპეციალისტმა უნდა ჩასჭიდოს ხელი და მთელი თავისი ძალღონე უნდა მოანდომოს თავის ეროვნულ შენობის დაცვის და განმტკიცებას. ამას მოითხოვს მტკიცე კანონი ერის ცხოვრების ბედნიერად მოწყობისა.

ეს მისი არგუნა წილად დღევანდელმა მომენტმა ჩვენ საზოგადოებას, და ვაი მას ვინც ამას თავის დროზე ვერ შეიგნებს და თუ შეიგნებს ზურგს შეაბრუნებს.

დათიკო პერევიშვილი.

## ახალი ამბები

— **კიდევ კანონის დარღვევა.** მარტის 15-ს მუშათა მაგიდაში არ მიიღეს მასწავლებელთა კოოპერატივის მოსამსახურეთა სია, იმიტომ რომ ქართულად იყო შედგენილი. როდის მოეღება ბოლო ასეთ თავხედობას.

— **მომღერალთა გუნდი.** ქართულ სამუსიკო სკოლაში სდგება სახ. მომღერალთა გუნდი, რომელშიაც შეუძლიანთ ჩაწერა როგორც ვაჟებს, ისევე ქალებს და ბავშვებსაც. გუნდს ხელმძღვანელობას გაუწევს ლოტბარი ალ. მაისურაძე. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 5—7 მდე. ვარჯიშობა ყოველ სამშაბათ-პარასკეობით 5—7 საათამდე.

— **სიმღერის მასწავლებელთა და სახ მომღერალ-მგალობელთა კრება** შესდგება კვირას, მარტის 20-ს ქართულ სამუსიკო სკოლაში. მოხსენებას გააკეთებს გ. სვანიძე. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. სასურველია დაესწროს ყველა ამ საქმით დაინტერესებულნი. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი ამხანაგიც უნდა დაესწროს.

— **ორშაბათს,** მარტის 14-ს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საბაჟო ნაწილის მიერ გაგზავნილი დეპეშების ქართული ტექსტი არ მიუღიათ ფოსტაში და გამგზავნი იძულებული გამხდარა რუსულად შეედგინა საჭირო დეპეშა. ვინ არიან ეს კონტრ-რევოლიუციონერები, რომ რევკომის განკარგულებას არ ემორჩილებიან და ასე ათრად იგდებენ სახელმწიფო ენას.

— რედაქციაში მოვიდა ხელ მეორედ ცნობა, რომ ცხინვალის რაიონში დიდ და პატარა ლიახვის ხეობაში გადმოსულან ოსები და შური უძიებიათ ქართველებზედ. აუწიოკებიათ რამდენიმე ქართული სოფლები და გადაუწვავთ სადგომები. ადგილობრივი რევკომი ვერ ღებულობს სათანადო ზომებს. ამ ცნობების მიღებისთანავე დრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზ. ნუცუბიძე წარუდგა საქართველოს რევკომს და სთხოვა საჭირო ზომების მიღება ანარქიის მოსასპობად. რევკომმა აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ გაიგზავნება საჭირო განკარგულება და ძალები. დრ. კომიტეტი წარადგენს დაწვრილებით ცნობებს.

# ბრუპაპროსტას ქრონიპა № 16.

**საქართველოს რესპუბლიკის სოვნარკომის შემადგენლობა**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. მარტის 6-ს დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობა:

1. სახალხო კომისართა საბჭოთა თავმჯდომარე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფილიპე მახარაძე.
2. სახალხო კომისართა საბჭოთა თავმჯდომარის მოადგილე და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი მამია ორახელაშვილი.
3. სამხედრო და საზღვაო საქმეთა და გარეშე ვაჭრობის (დროებითი) სახალხო კომისარი შალვა ელიავა.
4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია.
5. შრომისა და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ლადო დუმბაძე.
6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის (სახელმწიფოს კონტროლის) სახალხო კომისარი გიორგი ელისაბედაშვილი.
7. იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარი ამაიკ ნაზარეტიანი.
8. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჭაიძე (მის მოადგილეთ ექიმი კიკალეიშვილი).
9. განათლების სახალხო კომისარი ალ. სვანიძე. (მის აქ არ ყოფნის გამო, მისი მოვალეობის ასრულება დროებით ევალება ამხ. ორახელაშვილს.)

10 სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი ალ. დონტაუ.

**განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა.**

(ს. ს. ს. რევკომის ბრძანება № 10.)

ს. ს. ს. რ. რევკომის დადგენილების თანახმად 1921 წლის მარტის 6-ს კონტრ-რევოლიუციისა, საბოტაჟისა, სპეკულიაციისა და სამსახურის დროს ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველ განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. კონსტანტინე ცინცაძე.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. რევკომის მდივანი გაბრიჩიძე.

**ფულის ნიშნები.**

მოქალაქეთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ეგრედ წოდებული „პატაკოვის" ფულის ნიშნები „კერენსკის" სახისა 10000. 5000 1000. 500. 250. 100. 50. 25. მანეთის ღირებულებისა სავალდებულოა მისაღებათ.

**სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი.**

№ ლაშქრის სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალის სასამართლოს სხდომა მოხდება სამშაბათს, 15 მარტს. გაირჩევა საქმე ბრალდებულების სოხასი, პეტროვისა და ნესვედსკის, რომელთაც ბრალად ედებათ შეიარაღებული ძარცვა. საქმე გაირჩევა სამოსამართლო დაწესებულების დიდ ხალაში. სხდომა დაიწყება საღამოს 5 საათზე.

**შეთანხმება საქართველოსა და აზერბეიჯანის რკ. გზ.**

რკინის გზების უფროსმა დეპეშით აცნობა ს. ზ. რ.: საქართველოს რევკომის განკარგულებით მოძრავი შემადგენლობის გაცვლა-გამოცვლა ბალაჯის და ტვირთის გადაცემა აზერბეჯანის და საქართველოს რკინის გზების შორის მოხდება სადგურ აკსტაფაზე, იქვე უნდა მოხდეს ვაგონების დათვალიერება ორივე რკინის გზის აგენტების მხრივ.

**ტვირთის შენახვის დროს შემცირება.**

ამიერიდან, სადგურების საწყობები გაუსუფთავა ახალ მოსული ტვირთით 15 მარტიდან ადვილად გასაფუჭებელი და მცირე ღირებულების შენახვის ვადა შემოკლებულია სამ დღემდე. ხოლო დანარჩენი ტვირთისა 7-დღემდე.

**სოლანლუღის ხიდზე მოძრაობის დაწყება.**

მარტის 11 დაიწყო მოძრაობა მატარებლებისა სოლანლუღის ხიდზე.

**ნავთის მოსვლა ბაქოდან.**

11 მარტს ბაქოდან ტფილისში მოვიდა 41 ცისტერნი ნავთი.

**პროფესიონალურ კავშირებში.**

საკულტურო განმანათლებელი მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში. პროფ. კავშირებთან ახლა დაარსებული „კულტპროსვეტი" შეუდგა საკულტურო საგანმანათლებლო კომისიის მოწყობას. კომისიამ ქარხნებში და საწარმოო დაწესებულებებში მოაწყობს საკულტურო საგანმანათლებლო იაჩეიკებს. პირველ ყოვლისა გამოკვლეულ იქნება წერა-კითხვის უცოდინარი მუშამოსამსახურეთა რიცხვი. და მათთვის გაიხსნება კურსები წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.

პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან მოეწყობა ექსპედიცია პროფ. კავშირებში გაზეთების გასავრცელებლად. შემუშავებულია გეგმა პროფესიონალური მოძრაობის კურსების დაარსებისა. იმ ვარაუდით, რომ კურსებზე 50 მსმენელი იქნება თვეში. ეს სკოლა მოამზადებს პროფესიონალურ მოძრაობით. მომუშავეთ, კურსებზე იქნებიან პროფ. კავშირის წარმომადგენლები, რომელთაც სწავლის დროს შეენახებათ ჯამაგირი და მიეცემათ ბინა და სასმელ-საჭმელი. ყველა საკულტურო საკანონმდებლო დაწესებულებები, რომლებიც აქამომდე არსებობდნენ კვლავ დარჩებიან. მუშათა კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის გამგეთ დროებით დაინიშნა ამხ. მარიკიანი. შეუდგნენ ცენტრალურ მუშათა კლუბის რეორგანიზაციას. ახლო მომავალში შეუდგებიან განაწილებას წარმომდგენების ბილეთებისას პროფესიონალურ კავშირებს შორის. ამასთან ბილეთების განაწილება იქნება ჯერით. „კულტპროსვეტი" იმყოფება მუშათა სასახლეში, მეოთხე სართული, № 50.

**ცეკავშირი.**

**საქართველოს სახალხო მეურნეობა.**

მახლობელ დღეებში საერო მეურნეობის საბჭო შეუდგება ყოველთვიური ჟურნალის გამოცემას რუსულ და ქართულ ენებზე, სათაურით: „საქართველოს სახალხო მეურნეობა".

**ნახშირის ყიდვა.**

საერო სასურსათო კომიტეტმა გაგზავნა სილნალის მაზრაში ამხანაგი ნახშირის ყიდვისა და ტფილისში ჩამოტანისთვის.

**ფულების დამცველნი.**

ამხ. კარეხას თავმჯდომარეობით დაარსებულმა კომისიამ სასამართლოს რეორგანიზაციისთვის თვისი წრიდან შეადგინა ქვე—კომისარმაც უნდა შეიმუშავოს კანონპროექტი ფულების დაცვისათვის.

**სოციალურ უზრუნველყოფის საერთო კომისარიატი.**

ქალაქის ყოფილ გამგეობასთან არსებული სოციალურ დახმარების განყოფილება გადაკეთდება სოციალურ უზრუნველყოფის საერო კომისარიატად, რომელსაც ექნება თვისი საშუალებები და რომელიც განაგებს სოციალურ უზრუნველყოფის ყოველგვარ დარგს, უმუშევრობა, დროებითი ანუ მუდმივი დაკარგვა შრომის უნარისა, ინვალიდობა, სიბერე, მშობიარობა და სხვა საქართველოს რევკომმა კომისარიატის უფროსად დაინიშნა ლადო დუმბაძე.

**სახელმწიფო სწავლა-განათლების კურსები.**

10 მარტს კვლავ დაიწყო მეცადინეობა საერთო სწავლა-განათლების კურსებზე რეალურ სასწავლებლის შენობაში. კურსების ადმინისტრაციამ მიიწვია ყველა მოსამსახურენი გამოცხადდნენ მეცადინეობის გასაგრძელებლათ.

**სახელმწიფო ოპერა.**

სახელმწიფო ოპერის კომისრის თანაშემწეთ დაინიშნა ამავე თეატრის არტისტი ტენორი ი. პ. სარაჯიშვილი.

# ბრუპაპროსტას ქრონიპა № 18

1921 წლ. მარტის 15-ს

პროფ. კავშირების მოქმედების ალდგენის დროებითმა კომიტეტმა ცირკულიარულ წინადადებით მიმართა ყველა პროფკავშირს ხუთი დღის განმავლობაში თავიანთ წრიდან გამოჰყონ საბინაო სამეული, რომელიც მოაგვარებს მუშების და მოსამსახურეების ბინის საკითხს.

**ფოსტა ტელეგრაფი**

ფოსტა-ტელეგრაფის საპასუხისმგებლო მოსამსახურეთა კრებაზე მარტის 15 საბოლოოდ გადასწყდა სტრუქტურა გამგეობისა. ყველა განყოფილების სათავეში დანიშნულია სპეციალისტები ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრების მოადგილეთ დანიშნულნი არიან ამხ. ეჯიბია და გვირიდაშვილი.

ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა შეუდგა ცენტრალურ სახელოსნოების გაფართოებას, აპარატებისა და მათი ნაწილების შეკეთებას ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს საჭიროებისათვის.

ტეხნიკურ საშუალებათა უქონლობისა გამო ტელეფონის ქსელის გამრავლება დროებით შეჩერებულია.

**პროფესიონალურ კავშირებში.**

ძალოსნობის დამზადების ფროფკავშირის საზოგადო კრებაზე მარტის 13 ს მიღებულ იქმნა რეზოლიუცია მისალმებისა წითელ არმიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ამავე კრებაზე არჩეულია მმართველობა და სარევიზიო კომისია.

საბინაო მოსამსახურეთა და მუშათა პროფკავშირის გამგეობის სხდომამ დაადგინა გაგზავნილ იქმნან დელეგატები პროფკავშირის საბჭოში. ამხ.: სოსინი, არჩვაძე, წარმუდოვი და გორლენკო. არჩეულია საკულტურო-განმანათლებელი კომისია და საბინაო სამეული. მორიგი სხდომა გამგეობისა დანიშნულია ოთხშაბათობით საღამოს 6 საათზე.

პროფ. კავშირების წევრთ წარმომდგენის ბილეთები ეძლევათ მუშათა სასახლეში, ოთახი № 50.

**ეკონომისტების კრება.**

ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სადგომში დანიშნულია კრება ეკონომისტებისა. პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებლების შესაფერი მიზანია კრებისა შეერთება ეკონომისტებისა ერთ ორგანიზაციაში.

**ფაბრიკებში და ქარხნებში.**

ასინის ფაბრიკა ამხ. „ერმის" ფაბრიკაში მზადდება ცეცხლისაგან უშიშარ ასანთი. სათბობ მასალისა და ბერტოლეტის მარილის უქონლობისა გამო წარმოება უკანასკნელ დღეებში შემცირებულია. ნორმალურ მუშაობის დროს ქარხანა ამზადებს ყოველდღე 13,000 კოლოფს. ქარხანაში არჩეულია საფაბრიკო კომიტეტი.

**ქიმიური ქარხანა „ატომი"**

სათბობ მასალისა და სხვა მასალების უქონლობისა გამო ქარხანა რამდენიმე კვირაა არ მუშაობს. ქარხანაში მზადდებოდა მარილი, ძმრის ესენცია და ყოველგვარი სიმჟავე.

**ქიმიური ქარხანა.**

სათბობ მასალის უქონლობის გამო ქარხანა დროებით არ მუშაობს. ქვაბები და მანქანები არ არის დაშვებული ქარხანა ამზადებს ყოველგვარ სიმჟავეს, ნიშადურის სპირტს და სხვა და სხვა ქიმიურ პრეპარატებს. ამ ჟამად მზადდება მხოლოდ ერთგვარი სიმჟავე (ცინნოკამენა)

**ადამოვის ელექტრონის სადგური.**

სადგურში მუშაობს ხუთი მოტორი სხვა და სხვა ძლიერებისა. მოტორები კარგად მუშაობენ დრო გამოშვებით მთელი დღე და ღამეს. სადგურის კომისრად დანიშნულია ინჟინერი ტაუგლიხი.

**რკინის გზებზე.**

ყველმ განკარგულებანი სხვა და სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისა, გამოცემული საქართველოს რკინის გზების გამგეობის გარეშე. რევოლიუციონურ კომიტეტის რწმუნებულის განკარგულების თანახმად არ უნდა იყვეს შესრულებული ვიდრე დამტკიცებული არ იქნება.

# უცხოეთში

მარტის 12

**გერმანია და ანტანტა**

ლიონი. მარტის 11. (რადიო) უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გამოეცხადებინათ სასჯელის ზომები გერმანიის მიმართ, სანამდის გერმანია არ დააკმაყოფილებს მოკავშირეთა მოთხოვნილებებს. ანტანტის მთავრობებს განზრახული აქვთ თავთავიანთ პარლამენტებში შეიტანონ განსახილველათ საკითხი გერმანიის შესახებ.

**ოსმალეთს ეფერებიან**

ლიონი მარტის 11. (რადიო). ანტანტის მთავრობათა წარმომადგენლებმა ლონდონში ბრიანმა და გრაფ სფორცამ ოსმალეთის დელეგაციასთან და ლოიდ ჯორჯმა საბერძნეთის დელეგაციასთან ერთად განიხილეს თათბირის შედეგები. ანტანტის წარმომადგენლები მოითხოვენ შეთანხმებას ოსმალეთთან აღმოსავლეთში მდგომარეობა გართულების თავიდან ასაცილებლათ.

**კომუნისტების დეკლარაცია საგარეო პოლიტიკის შესახებ.**

პარიზი. მარსელ კაშენმა კომუნისტურ პარტიის სახელით საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ ყაჩაღური მოთხოვნილებანი ანტანტისა მთელი თავისი სიმძიმით დააწვება პროლეტარიატს. ბურჟუაზიულ მტაცებლობის მადა. შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სოციალური რევოლიუციით რეინის ორივე ნაპირებზე.

საფრანგეთის კომუნისტები, ხელმძღვანელობენ და აღმოსავლეთის პირობებით, მოითხოვენ სამხარ მოქმედებათა შეწყვეტას აღმოსავლეთში. ბოლოს საფრანგეთის კომუნისტები, თავის დეკლარაციაში ენერგიულათ მოითხოვენ, რომ საფრანგეთმა დადოს სავაჭრო ხელშეკრულებანი რუსეთთან.

**შეტევა გერმანიაზე.**

ბერლინი. ეიპენის და მალმედის რაიონებში სწარმოებს ჯარის გაძლიერებული გადაჯგუფება. ეჩნევა სამხედრო მატარებლების ინტენსიური მიმოსვლა. ბელგიის სამხედრო ხელის უფლებამა რეკვიზიცია უყვეს ორთქმავალებს და ვაგონებს. ყველა ეს მოქმედება ასდგენს საგრძნობ ლაშქრის მობილიზაციის შთაბეჭდილებას გერმანიის ტერიტორიაზე გადასაყვანათ

**საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

შანხაი. საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნებული იაპონელი ჟურნალისტი, თავის ლექციაში საბჭოთა რუსეთზე, იუწყება, რომ სათანადოთ უნდა დაფასდეს დაუღალავი და განმანათლებელი ენერგია საბჭოთა რუსეთის მოღვაწეობისა. და ბოლოს ჟურნალისტ ფურიემ გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ რუსეთის ხალხური მასას არას დროს არ ჩამოშორდება ბოლშევიზმს, რომელმაც სხე ღრმად ჩაინერგა იგი თავის შეგნებაში.

**ოსმალეთის სულთანის ბედი.**

პარიზი. „ეკლე პარი" იუწყება: მუსტაფა-ქემალმა განაცხადა, რომ თუ სულთანი წინააღუდგება აუცილებელ რეფორმების გატარებას, ოსმალეთის ხალხი მას ჩამოაგდებს ტახტიდანაო.

**ვრანგელელების გაფანტვა.**

სტამბოლი. ვრანგელის 30 ათასიანი ლაშქარი, რომელიც მოთავსებულია საკონცენტრაციო ბანაკებში, აუცილებელ საჭიროების ნივთების უქონლობის გამო სრულ უიმედობამდეა მისული. ოფიცრები და ჯარისკაცები გარბიან ანატოლიაში ქემალისტებთან შესაერთებლად.

**გერმანელ ერის სურვილია არ დაუთმოს მოკავშირეებს.**

ნაუენი. 2-3. (რადიო) გერმანიის არც ერთი დელეგაცია არ მიუღიათ ისე გულწრფელათ, როგორც მიიღეს წარმომადგენლები, რომლებიც დაბრუნდენ ლონდონის კონფერენციიდან. ბერლინში სადგურზე აუარებელი ხალხი ელოდებოდა დელეგაციას. მას შეხვდნენ აპლოდისმენტებით და ნაციონალურ ჰიმნს სიმღერით. მთელ გერმანიაში გადასწყვიტეს არ დაუთმონ მოკავშირეებს იმ შემთხვევაშიაც კი. (დამახინჯებულია) ასეთია გერმანიის ერის ნება.

გერმანელ ერის სურვილია არ დაუთმოს მოკავშირეებს.

გერმანიის კაბინეტმა ერთხმათ მოიწონა სიმონსის საქციელი ლონდონის კონფერენციაზე პრეზიდენტმა ებერტმა მადლობა გამოუცხადა დელეგაციას კეთილსინდისიერ მუშაობისათვის. დელეგაციის წევრთა უმრავლესობაც იმ აზრისაა, რომ ლონდონის კონფერენციაზე გამარჯვებას ვერ მიაღწევს შოვინისტ-ფრანგ ჟურნალისტები, რომლებიც მოქმედობდენ წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით და იცავდნენ მკაცრ დისციპლინას, და რომლებმაც თავის სამხარ სულიერ განწყობილებით გავლენა იქონიეს ინგლისის საზოგადო შეხედულებაზედაც კი მიუხედავათ ამისა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ლოიდ ჯორჯი უკმაყოფილოა..

**გერმანიის კომერსანტები ბოიკოტს უცხადებენ ანტანტას.**

ნაუენი. (რადიო) ჰამბურგში შესდგა გერმანელ კომერსანტთა საზოგადოება რომლის მიზანია უარი თქვას ინგლის-საფრანგეთ-ბელგიიდან ყოველგვარ საქონლის ყიდვაზე. ანალოგიური საზოგადოებები სდგება მთელ გერმანიაში.

**ბაჟი გერმანიის ექსპორტზე.**

ნაუენი 2—3. რადიო. ანტანტა უკვე შეუდგა რეინის მარჯვენა ნაპირზე ექსპორტიდან, 50 პროცენტი ბაჟის შეკრებას. შვეიცარიის ფედერალური საბჭო დიდი ყურადღებას აქცევს იმ შედეგებს, რომლებიც ექნება შვეიცარიისათვის ანტანტის მიერ მიღებულ ზომას—50 პროცენტი ბაჟის გერმანულ ექსპორტიდან,—ზომა, რომელიც ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის ნაციათა ლიგის თანხმობით, შვეიცარიის მთავრობა სერიოზულ ზომებს მიიღებს შვეიცარიის [illegible] რომელიც [illegible]

**[illegible]**

პარიზი. მიუნხენიდან იუწყებიან: ჰოლანდიის მთავრობამ კატეგორიულად დაადგინა განდევნოს ვილჰელმ 11 ჰოლანდიის საზღვრებიდან. ჰოლანდიის მთავრობამ იპოვა მთელი რიგი დოკუმენტების, რომელიც ამტკიცებენ ჰოჰენცოლერნების ფულების დარღვევის ფაქტს. დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ჰოჰენცოლერები ჰოლანდიის ქალაქებში საიდუმლო ორგანიზაციებს აწყობდენ გერმანიაში გადატრიალების მოსახდენათ და ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ იარაღის საშუალებით. გადატრიალების გეგმით კრონპრინცი ოფიცრებთან ერთად უნდა გაქცეულიყო გერმანიაში და ჰოჰენცოლერების ძალაუფლება აღედგინა ჰოლანდიის პოლიტიკურმა პოლიციამ დაამტკიცა რომ უკანასკნელ დროს ჰოჰენცოლერნების ოჯახის წევრები ხშირად იცვლიდნენ მოსამსახურეებს რომელნიც გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ესენი ყოფილან ჰოჰენცოლერების საიდუმლო აგენტები. მაგიდის სუფრების ქვეშ გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქმნა საეჭვო დოკუმენტები ამ ამბების გამო ჰოლანდიის მთავრობამ ოფიციალურად აუწყა ვილჰელმ მე 2-ს და ჰოჰენცოლერების წევრთ, რომ მოკლე ხანში მათ დასტოვონ ჰოლანდიის საზღვრები წინააღმდეგ შემთხვევაში იმათზე რეპრესიულ ზომებს მიიღებენ.

# მსხვერპლი ჯიუტობისა.

(მუშის წერილი.)

ერთი თვე სრულდება რაც დამოუკიდებლად ნეიტრალურ თავისუფალ საქართველოს საზღვარზე მოულოდნელად გავარდა თოფი ქართველ მხედართა გასაგმირად. ქართველი ხალხი შემკრთალი, თოფს ეცა და გაეშურა საბრძოლველად, რომ დაეცვა სამშობლოს მიწა-წყალი დამოუკიდებლობა ერის ტ ხალხის უფლება და სიმშვიდე ქვეყნისა, მაგრამ ძოსული მოწინააღმდეგე იმდენად მრავალ-რიცხოვანი და დიდი ხნით გამზადებული გამოდგა, რომ ასე უცბათ მოსხდარ მიზლვავებულ ძალებთან გაძლება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაგრამ მაინც თავ განწირვით იბრძოდა ქართველი მეომარი იმ იმედით მრავალ-საუკუნიან უხნიერესი დიდი წარსულის, სახელოვან ისტორიის სამაგალითოთ შემნახავი საქართველო არ მოისპობა, მას ახალი შვილები გამოუჩნდებიან ტ თუნდ ხანგრძლივ საუკუნოებითვე ბრძოლაში ჰპოვებს სახეს სრულ უფლებიან ერისას და აღიდგენს თავისუფლებას. ასე ფიქრობდა ყოველი გმირი ბრძოლისკენ მიმავალი, დიდი მსხვერპლი გაიღო პატარა საქართველოს მტკიცე მკერდმა, ზარბაზების ქუხილმა დაადუმა მთაბარი ცეცხლის ალმა გადატრუსა მომავალი სარჩო. გაპარტახდა ქვეყანა ცხენის ქუსლმა გათელა ნაამაგდარი ადგილები და შეაძრწუნა ბრძოლის ცეცხლში მოყოლილი სოფლები; გაანაცრისფერა ხალხი, დიდი ხნის მოპოვებულ თავისუფლების დაკარგვის შიშმა.

ყოველი ქართველის გული დაიკოდა იმ მოგონებით რო ორ მოწინააღმდეგე პარტიული ძალა-უფლება, ერთი მეორეს დაეტაკა, ქვეყანამ მსხვერპლი გაიღო, ძმა ძმას შეაკვდა.

თუ მენშევიკებმა მხოლოდ თავის პარტიულ ბატონობის შერჩენისათვის ჩაიყოლეს ქართველი ხალხის სისხლი თავიანთ განსვენების გზაზე, თუ ერს გამოსავალი გზა ჰქონდა ადრევე შეთანხმებით და გადარჩებოდა გაპარტახებას, უნდა მოემოქმედნათ ეს იმ რწმენით, რომ ჯერ ერი, და მერე პარტია, მაგრამ მენშევიკების მოღვაწეობამ საქართველოში დაგვარწმუნეს ადრევე, რომ მათთვის ჯერ პარტია არსებობდა მერე საქართველო.

ქართველი მშრომელი ხალხი და მთელი ქართველი თაობა დაუსრულებლათ შურის მაძიებელი იქნება იმ მხარის მიმართ, რომელმაც ერის დაღუპვა არჩია თავის ბატონობის დაღუპვას.

ქართველ ხალხს, გაგების უნარს ვერავითარი ძალა ვერ მოუსპობს, და შურის საძიებელ საშუალებასაც მოახერხებს, რანაირ მდგომარეობაშიაც უნდა მოექცეს.

მუშა განო.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.